



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
////////////////////

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია** შპს ბუსსს ანრის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ლევან საგინაძის, იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის და ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის მიერ;
2. **დამტკიცებულია** შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2020 წლის 10 თებერვლის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N 04);
3. ძალაშია დამტკიცების მომენტიდან;
4. პერიოდული შემოწმება წარმოებს არაუმეტეს 12 თვის ინტერვალით;
5. **ცვლილებათა შემუშავება და პოლიტიკს განახლება** ხდება შპს ბუსსს ანრიში წინამდებარე დოკუმენტის გამოყენების შედეგების მიხედვით ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შეცვლისას, რომელთა საფუძველზეც არის შემუშავებული წინამდებარე პოლიტიკა;
6. პოლიტიკის წინამდებარე ვერსია ძალას კარგავს ახალი ვერსიის დამტკიცების შემთხვევაში.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine**

შინაარსი

| | |
|--|----|
| 1. გავრცელების სფერო | 5 |
| 2. ნორმატიული მითითებები | 5 |
| 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები | 5 |
| 4. შინაგანაწესის რეგულირების საგანი და სამართლებრივი სტატუსი | 6 |
| 5. შრომითი ურთიერთობის პრინციპები | 6 |
| 6. ტერმინთა განმარტება | 6 |
| 7. შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნები | 7 |
| 8. სასწავლებლის მენეჯმენტის მოვალეობები | 7 |
| 9. დასაქმებულთა მოვალეობები | 8 |
| 10. სასწავლებელში პერსონალის უსაფრთხო ქცევის წესები | 8 |
| 11. სახანძრო უსაფრთხოება | 9 |
| 12. ელექტრო უსაფრთხოება სამუშაო სივრცეში | 11 |
| 13. ავარიული სიტუაციების დროს ელექტრო უსაფრთხოება | 12 |
| 14. უსაფრთხოების დაცვის წესები შედუღების სამუშაოებისას | 12 |
| 15. ნავთობპროდუქტების შენახვის წესები | 12 |
| 16. მონიტორინგი და კონტროლი | 13 |
| 17. უხეში დარღვევის სახეები | 15 |
| 18. დასკვნითი დებულებები | 16 |
| 19. კონფიდენციალურობა | 16 |
| 14. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი | 17 |
| 15. გაცნობის ფურცელი | 18 |
| 16. შეთანხმების ფურცელი | 20 |



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

1. გავრცელების სფერო

- 1) შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის შრომის უსაფრთხოების წესი შემუშავებულია სასწავლებლის სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონონმდებლობას და კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას.
- 2) შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს და ვრცელდება შპს ბუსსს ანრის ყველა თანამშრომელზე;
- 3) შინაგანაწესის აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია), შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან (ელექტრონული ვერსია), ელექტრონული ვერსია ასევე განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე.
- 4) დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

2.1 არსებული შინაგანაწესის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) ნდ №2-010101 - შპს ბუსსს ანრის წესდება;
- 4) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
- 5) ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა
- 6) საქართველოს შრომის კოდექსი
- 7) საქართველოს შრომის კოდექსი
- 8) შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი
- 9) სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონი
- 10) 2015 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **დოკუმენტის პერიოდული შემოწმება** - ქმდება რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის განხილვას, რათა განისაზღვროს საჭიროა თუ არა მისი ხელახალი დანტკიცება, გაუქმება;
2. **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)** - დოკუმენტი რომელიც ადგენს წესებს საერთო პრინციპებს ან მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
3. **ცვლილებები** - ნორმატიული დოკუმენტის განსაზღვრული ფრაგმენტის დამატება ან გამორიცხვა, მოდიფიკაცია;
4. **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური

3.2 შემოკლებები

1. **ბუსსს ანრი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

4. შინაგანაწესის რეგულირების საგანი და სამართლებრივი სტატუსი

- 1) წინამდებარე შრომის შინაგანაწესითა და მასთან თანდართული დანართებით (შემდგომში „შინაგანაწესი“), განისაზღვრება შპს ბუსსს ანრი (შემდგომში სასწავლებელი/დამსაქმებელი) სამუშაო პროცესის წესი, შრომითი პირობები და მისი თანმდევი ურთიერთობები, დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები.
- 2) ეს შრომის შინაგანაწესი არის დასაქმებულთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი და მისი უპირობო შესრულება არის ვალდებულება სასწავლებლის თითოეული თანამშრომლისათვის, მიუხედავად თანამდებობისა, სამუშაოს ტიპისა და დროისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 3) სასწავლებელში დასაქმებული ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას შრომითი შინაგანაწესით დადგენილი არსებული რეგულაციები, ინსტრუქციები, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სასწავლებელში შრომის უსაფრთხოების ფარგლებში მოქმედებულ დებულებებსაც.
- 4) შრომის შინაგანაწესი, მისი დანართები და შემდგომში მათში შესული ცვლილებები ეცნობება დასაქმებულს თანდართული ფორმის მიხედვით.

5. შრომითი ურთიერთობის პრინციპები

- 1) დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, ასევე, უშუალოდ დასაქმებულებს შორის შრომითი ურთიერთობები დამყარებულია მხარეთა თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის პრინციპებზე.
- 2) თითოეული დასაქმებული თანასწორუფლებიანია და აქვს კარიერული და პროფესიული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობა.
- 3) შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო.

6. ტერმინთა განმარტება

ამ შრომის შინაგანაწესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- 1) დამსაქმებელი - (შპს ბუსსს ანრი);
- 2) დასაქმებული/თანამშრომელი - პირი, რომელიც შრომით ურთიერთობაში იმყოფება დამსაქმებელთან;
- 3) შრომითი ურთიერთობა - შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ;
- 4) კოლექტივი - თანამშრომელთა ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო საქმიანობით, საერთო მიზნებით, ინტერესებით;
- 5) სამუშაო ადგილი - ადგილი, სადაც დასაქმებული ფაქტიურად ასრულებს სამუშაოს;
- 6) ორგანიზაციული ერთეული (განყოფილება) - სასწავლებლის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შემავალი ერთეული
- 7) თანამდებობრივი ინსტრუქცია - იმ პოზიციის სამუშაო აღწერილობა და ფუნქციონალური მოვალეობები, რომელზეც მუშაობს დასაქმებული;
- 8) შიდასამართლებრივი აქტები - დირექტორის ბრძანებები და განკარგულებები, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად თანამშრომლებისთვის



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

7. შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნები

- 1) შპს ბუსსს ანრი-ში სასწავლებელში სამუშაოდ დაიშვებიან პირები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება იცავენ მათი პროფესიის მიხედვით შრომის უსაფრთხოებას დადგენილ ნორმებს და სასწავლებლის მიერ დადგენილ ქცევის წესებს.
- 2) სამუშაო პოზიციის ან სამუშაო პროცედურის შეცვლის შემთხვევაში უნდა მოხდეს პერსონალის გადამზადება - პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარება.
- 3) სასწავლებლის სივრცეში არ დაიშვებიან ის პირები, რომელთაც კავშირი არ აქვთ შპს ბუსსს ანრის საქმიანობასთან.
- 4) დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) და გაუმართავი ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამოყენება.
- 5) შპს ბუსსს ანრი-ში აკრძალულია ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღება და არაფიზიკურ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის დაშვება.
- 6) შპს ბუსსს ანრი-ში ტრამვის, უბედური შემთხვევის, პროფესიული დაავადების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასწრაფო დახმარების სამსახურს, უშუალო უფროსს და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს.
- 7) მომეტებული საფრთხის დროს, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ავარია სასწრაფოდ უნდა მოხდეს სასწავლებლის გაჩერება და ამის შესახებ ეცნობოს საწარმოს მენეჯერს, დირექტორს და შრომის უსაფრთხოების მენეჯერს.

8. სასწავლებლის მენეჯმენტის მოვალეობები

სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შპს ბუსსს ანრი :

- 1) ზრუნავს, რომ საფრთხის არსებობისას დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს.
- 2) უზრუნველყოფს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას.
- 3) კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხავს სამუშაო სივრცეში უბედურ შემთხვევებს, პროფესიული დაავადებების შემთხვევებს.
- 4) რეგულარულად ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობას.
- 5) დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, აფასებს რისკებს, ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე.
- 6) უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მუშა-მოსამსახურეთა აღჭურვას.
- 7) უზრუნველყოფს სასწავლებელს პირველადი დახმარების საშუალებებით.
- 8) სათანადო დონეზე უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვას.
- 9) უზრუნველყოფს პერსონალისთვის შესაბამისი სწავლების ჩატარებას.
- 10) სამუშაო პროცესში პერსონალისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებას.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

9. დასაქმებულთა მოვალეობები

დასაქმებული ვალდებულია:

- 1) იხელმძღვანელოს ამ წესით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ინსტრუქციებით და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს;
- 2) შეასრულოს სამუშაო, მართოს და გამოიყენოს სამუშაო ტექნიკა, მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები დადგენილი წესების მიხედვით, ტრენინგებზე და მუშაობისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
- 3) მართოს სპეციალური წესების მიხედვით განსაზღვრული, მომეტებულ საფრთხესთან დაკავშირებული სამუშაო ტექნიკა და შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი კომპეტენცია, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სამუშაოს შესრულება დამსაქმებელმა დაავალა;
- 4) თვითნებურად არ გამორთოს, არ შეცვალოს ან არ მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის, ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები და აღნიშნული მოწყობილობები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს;
- 5) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად, შეინახოს მუშა მდგომარეობაში და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;
- 6) დაუყოვნებლივ წარუდგინოს კომპანიის ადმინისტრაციას ან შრომის უსაფრთხოების მენეჯერს ინფორმაცია ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რომელმაც შეიძლება სამუშაო სივრცეში საშიშროება შეუქმნას შრომის უსაფრთხოებას ან გამოიწვიოს უბედური შემთხვევა ან საშიში შემთხვევა, აგრეთვე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ამ ხარვეზის აღმოფხვრაში;
- 7) დაესწროს შპს ბუსს ანრის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოების შესახებ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს;
- 8) გაიაროს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლის შესრულებისთვისაც აღნიშნული გამოკვლევების გავლა აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 9) დაიცვას შრომის უსაფრთხოების მენეჯერის, ექთანის და უშუალო ხელმძღვანელის მითითებები და რეკომენდაციები უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- 10) არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;
- 11) დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს;
- 12) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მომზადებისა და კომპანიის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შესაბამისად იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, რომლებსაც საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით ზიანი მიადგათ.

10. სასწავლებელში პერსონალის უსაფრთხო ქცევის წესები

სასწავლებელში თანამშრომელთა მიერ დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:

- 1) მკაცრად დაიცავით ამ წესით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები და ყველა წესი, რომელსაც გაეცანით ტრენინგისა და ინსტრუქტაჟის დროს;
- 2) პოტენციური საფრთხის შემცველ ადგილებზე მოერიდეთ გაუფრთხილებელ ქმედებებს;
- 3) მომეტებული საფრთხის შემცველ სივრცეებში არ შეხვიდეთ, თუ არ ხართ შესაბამისი ავტორიზებული პერსონალი;
- 4) საფრთხის შემცველ ადგილებზე იყავით მობილიზებული და ყურადღებით;
- 5) აუცილებლად გამოიყენეთ სათანადო პერსონალური დაცვის საშუალებები;
- 6) დარწმუნდით რომ, სამუშაო ჩაცმულობა შეესაბამება სამუშაო პირობებს.
- 7) სამუშაო ადგილზე შესვლისას და გამოსვლისას ყურადღებით გააღეთ და დაკეტეთ კარები;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

- 8) პოტენციურად საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილზე შეაფასეთ არსებული საფრთხე და იყავით ყურადღებით მოძრაობისას და/ან ნივთების გადაადგილებისას;
- 9) არ გამოიყენოთ გაუმართავი მოწყობილობები;
- 10) ისეთი საქმიანობის განხორციელებამდე, რომელიც იწვევს, ან შეიძლება გამოიწვიოს აალება, გაწმინდეთ ტერიტორია აალებადი მასალებიდან და მტვრისგან;
- 11) უნდა გახსოვდეთ, რომ ელექტროდანადგარიდან ძაბვის გაქრობის შემდეგ ის შეიძლება კვლავ მიეწოდოს;
- 12) ინსტრუმენტები და უსაფრთხოების ინვენტარი შეინახეთ მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად;
- 13) კონკრეტული სამუშაოს დასრულებისას გამორთეთ/უსაფრთხო რეჟიმზე გადაიყვანეთ ხელსაწყოები და მოწყობილობები. სამუშაო ადგილის ბოლოს დატოვების შემთხვევაშიც გამორთეთ/უსაფრთხო რეჟიმზე გადაიყვანეთ ყველა ხელსაწყო და მოწყობილობა;
- 14) ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობის შესახებ საქმის ყურსში ჩააყენოს სასწავლებლის ადმინისტრაცია. მუშაობისას შეუძლოდ გახდომის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ სასწავლებლის ექთანს, უშუალო უფროსს ან ყველაზე ახლოს მყოფ თანამშრომელს;
- 15) რომელიმე თანამშრომლის მიერ გონების დაკარგვის ან მისი დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება და აცნობეთ სასწავლებლის ექთანს ან ადმინისტრაციას;
- 16) სახიფათო ადგილებთან არ დაუშვათ გარეშე პირები, საჭიროების შემთხვევაში შეაჩერეთ სახიფათო სამუშაო და გამოიძახეთ დაცვის წარმომადგენელი;
- 17) დაკვამლიანების ან საეჭვო სუნის შემთხვევაში, ატეხეთ განგაში, დატოვეთ სამუშაო ადგილი და დაუყოვნებლივ აცნობეთ სასწავლებლის ადმინისტრაციას;
- 18) ევაკუაციის შემთხვევაში იხელმძღვანელებთ ობიექტზე განთავსებული საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. შენობიდან გასვლის შემდეგ არ დაბრუნდეთ შენობაში, სანამ შესაბამისი პირი არ გაცნობებთ, რომ შესვლა უსაფრთხოა;
- 19) პერსონალი ვალდებულია დაიცვას სამუშაო სპეციფიკის მიხედვით ცალკე დადგენილი უსაფრთხოების ინსტრუქციები.

11. სახანძრო უსაფრთხოება

- 1) სასწავლებლის ობიექტებზე ყველა საჭირო ადგილას თვალსაჩინოდ გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის/ობიექტის უსაფრთხო დატოვება.
- 2) შპს ბუსსს ანრის ობიექტი აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა აუცილებელი სახანძრო ინვენტარით.
- 3) ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები ინახება სათანადო ადგილზე. გამართულ მდგომარეობაში.
- 4) საგანგებო ვითარების დროს, საჭიროების შემთხვევაში, საწარმოს ადმინისტრაცია უკავშირდება შესაბამის უწყებებს (სასწრაფო, სახანძრო, პოლიცია და ა.შ).
- 5) სასწავლებლის ხელმძღვანელობა ახორციელებს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ამოწმებს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას, ვარგისიანობას და სხვა.
- 6) სასწავლებლის ობიექტებზე ნივთიერებებისა და მასალების ღიად შენახვის, ტექნოლოგიური დანადგარების, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების და შიდა სახანძრო ონკანების განთავსების ადგილებში გამოკრულია შესაბამისი აბრები სახანძრო-სამამშველო სამსახურის ტელეფონის ნომრის აღნიშვნით.
- 7) საევაკუაციო გზებზე გამავალი ყველა კარი უნდა იღებოდეს თავისუფლად შენობიდან გასვლის მიმართულებით, დაუშვებელია გზების და გასასვლელების (დერეფნების, კიბის საფეხურების)



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

სხვადასხვა მასალით, მოწყობილობებით, საწარმოო ნარჩენებით, ნაგვით ჩახერგვა, ასევე საევაკუაციო გასასვლელის კარების აჭედვა.

- 8) აკრძალულია:
- a) არასტანდარტული (თვითნაკეთი) ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების, გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დამცავი არაკალიბრებული დნობადი დამცველების ან სხვა თვითნაკეთი აპარატების გამოყენება;
 - b) ელექტროფარებთან, ელექტროძრავებსა და გამშვებ აპარატურასთან წვადი (მათ შორის ადვილაალებადი) მასალებისა და ნივთიერებების დაწყობა-შენახვა;
 - c) ხანძარსაშიმ და ფეთქებადსაშიმ ზონებში ელექტროდანადგარების გამოყენება, რომლებსაც არ გააჩნიათ ქარხანა-დამამზადებლის მიერ შესრულებული ხანძრისაგან ან/და აფეთქებისაგან დაცვის შესაბამისი ხარისხი;
 - d) ელექტროსადენების და კაბელების გადაბმების და ბოლოების იზოლაციის გარეშე დატოვება;
 - e) სათავსში ჯავშნიანი კაბელების გაყვანა წვადი საფარის მოხსნის გარეშე;
 - f) დროებითი ელექტროგაყვანილობის და ელექტროხელსაწყოების კვებისათვის დამაგრებელი ელექტროსადენების გამოყენება, თუ მათი დანიშნულება არ არის განპირობებული საავარიო და დროებითი სამუშაოების წარმოებით;
 - g) ელექტროქსელში ჩართული ელექტროგამაცხელებელი ხელსაწყოების, აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების უმეტესადაც დატოვება (მათ შორის, „მოლოდინის“ რეჟიმში), გარდა ელექტროხელსაწყოებისა, რომელთა სადღეღამისო მუშაობის რეჟიმი გათვალისწინებულია ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციით;
 - h) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ელექტროდანადგარების და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების ელექტროქსელში ჩართულ მდგომარეობაში დატოვება იმ სათავსებში, სადაც არ იმყოფება მორიგე პერსონალი, გარდა მორიგე განათებისა, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა, სხვა ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური ხელსაწყოებისა, რომელთა მუშაობა განპირობებულია მათი ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან გათვალისწინებულია მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციით;
 - i) ცეცხლის დანთება და ხანძარსაშიმი სამუშაოების განხორციელება ობიექტზე;
 - j) ნიტროსაღებავების და სხვა ფეთქებადი ორთქლის წარმოქმნილი ლაქსაღებავების გამოყენების ადგილებში ცეცხლის გამოყენება და ნაპერწკალწარმოქმნილი მოქმედებების შესრულება.
- 9) სასწავლებლის თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, რომელსაც ატარებსა სწავლებლის დირექტორის მიერ განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.
- 10) ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარება ითვალისწინებს თანამშრომელთა გაცნობას:
- a) შენობის, მათ შორის, საევაკუაციო გზების, შიდა და გარე წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილ მოთხოვნებსა და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვასთან;
 - b) ხანძარსაშიმი სამუშაოების ჩატარების წესებთან;
 - c) ხანძრის დროს თანამშრომელთა ვალდებულებებსა და მოქმედებებთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების წესებთან, ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნებთან.
- 11) ხასიათის და ჩატარების პერიოდულობიდან გამომდინარე, დადგენილია შემდეგი სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი: საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი.
- 12) საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება:
- a) სამსახურში ახლად მიღებულ ყველა თანამშრომელს, მიუხედავად განათლებისა და პროფესიით (თანამდებობაზე) მუშაობის სტაჟისა;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

- b) სასწავლებელში წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის პერსონალისათვის და სტუდენტ/მსმენელებისთვის ან სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე მიღებულ პირებს.
- 13) საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
- a) მონაცემებს ობიექტის (სასწავლებლის) ხანძარ და ფეთქებადსაშიში პირობების სპეციფიკის და თავისებურებების შესახებ;
 - b) თანამშრომლების მოვალეობებს და პასუხისმგებლობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე;
 - c) ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის გაცნობას;
 - d) სახანძრო უსაფრთხოების წესების, საამქროში, სამუშაო და სასაწყობე სათავსებში მომხდარი ან სავარაუდო ხანძრების ძირითადი მიზეზების გაცნობას;
 - e) სახანძრო პროფილაქტიკის ზოგად ზომებს და ხანძრის ჩაქრობაზე მიმართულ ძირითად მოქმედებებს.
- 14) განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება სასწავლებლის თანამშრომლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის პროგრამის მიხედვით.
- 15) განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის დროს მოწმდება თანამშრომლების მიერ ობიექტში დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოთხოვნების, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების, ევაკუაციის გზების გამოყენების ცოდნა. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება:
- a) სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის და ახალი დოკუმენტების შემუშავების შემთხვევაში;
 - b) ინფრასტრუქტურის, მოწყობილობის, სისტემების მოდერნიზაციის შემთხვევაში;
 - c) თანამშრომლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისას, რომლებმაც გამოიწვიეს ან შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი;
 - d) სხვა მსგავს საწარმოებში ავარიების, ხანძრების შესახებ ცნობების მიღებისას;
 - e) თანამშრომლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების არასათანადო ცოდნის შემთხვევაში.
- 16) მიზნობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება ვიზიტორების მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
- 17) მონაცემები საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის გავლის შესახებ შეიტანება „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში“, იმ პირების ხელმოწერით, რომლებმაც ჩაატარეს და გაიარეს ინსტრუქტაჟი.

12. ელექტრო უსაფრთხოება სამუშაო სივრცეში

დაუშვებელია ელექტრო მოწყობილობების (მაცივრის გარდა)ყურადღების გარეშე დატოვება.

ელექტრო სადენის საიზოლაციო დამცავი საფენის დაზიანების და მოკლე ჩართვის თავიდან ასაცილებლად დაუშვებელია:

- 1) ელექტრო სადენზე რაიმე საგნის ჩამოკიდვა (სურათის, ტანსაცმლის, დ.ა.შ)
- 2) ელექტრო სადენის გაზის ელექტრო, ღუმელის ქვეშან ახლოს გატარება
- 3) სველი ხელებით აპარატურასთან მუშაობა.
- 4) ელექტრო სადენის შემაერთებელი ჩანგლების სადენით გამოძრობა (აუცილებელია რომ შესაერთებლიდან შემაერთებელ ჩანგლებს მოვკიდოთ ხელი და ისე მოვხსნათ კვების წყაროდან ელექტრო მოწყობილობა.)
- 5) ისეთ ელექტრო მოწყობილობასთან მუშაობა,რომელსაც დარღვეული აქვს კორპუსის მთლიანობა.
- 6) ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრო მოწყობილობების გაწმენდა მტვერისგან ან ჭუჭყისგან.
- 7) შენობაში ელექტრო მონტაჟისას ელექტრო სადენების ლურსმნებით დამაგრება. დაზიანებული ელექტრო სადენების გამოყენება.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

- 8) ელექტრო დანადგარის ტექნიკური მომსახურებისას აუცილებელია გამოირთოს ელექტრო ენერგია ქსელიდან ჩაირთოს სერვისული მომსახურება.
- 9) ელექტრო ენერგიის მოხმარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ ნესტიან ან სველ იატაკიან შენობაში მუშაობისას.
- 10) ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ელექტრო მოწყობილობების თანმიმდევრული ჩართვა.
- 11) ელექტრო ჩაიდან მიღულარა უნდა ჩაირთოს მაშინ როცა შიგნით წყალი იქნება ჩასხმული. დაუშვებელია ჩართულ მდგომარეობაში წყალთან რაიმე მანიპულაციების გაკეთება, ასევე დენის წყაროსთან შეერთებული დატოვება მისი გამოყენების შემდეგ.
- 12) დაუშვებელია ელექტრო იარაღთან მუშაობა დამცავი ხელთათმანების გარეშე ან მუშაობის დროს მისი სხვაზე გადაცემა, ასევე ელექტრო იარაღის ელექტრო სადენით დაჭერა.
- 13) აკრძალულია ჩაერთო ელექტრო მოწყობილობა (ან ავანთოთ ნათურა) თუ შენობაში (ან ჩვენს სამუშაო კაბინეტში) გაზის სუნია.
- 14) დაუშვებელია გაზისა და ელექტრო ქურებზე რაიმე საგნის, ტანსაცმლის გაშრობა
- 15) აუცილებლად გავალისწინებული იქნას მზრუნავ დაზგადანადგარებთან ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქციების გათვალისწინება

13. ავარიული სიტუაციების დროს ელექტრო უსაფრთხოება

- 1) თუ ელექტრო მოწყობილობასთან ან ელექტრო ტექნიკით გამოყენებისას აღმოჩნდა ნებისმიერი სახის გაუმართაობა, დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტოთ მისი გამოყენება გავთიშოთ დენის წყაროდან და ვაცნობოთ შესაბამის პასუხისმგებელ პირს. მუშაობის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ დაზიანების აღმოფხვრის შემდეგ. შესაძლო დაზიანებების ჩამონათვალი: დნობა ელექტრო შემაერთებლის, შესაერთებლის, სადენის იზოლირების დაზიანება. (კვამლი ან მტვერი, მძაფრი სუნი, ნაპერწკლის წარმოშობა დაერთების ადგილებზე) გამომრთველის არასწორი მუშაობა და მკვეთრი ანომალური ხმაურის, კაკუნის ვიბრაციის გაჩენა.
- 2) ყველა შემთხვევაში როცა ადამიანი ელექტრო ტრამვას მიიღევს აუცილებელია მივიღოთ პირველადი ზომები: დაზარალებულთან ვიმოქმედოთ ელექტრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის გათვალისწინებით და დაეუკავშირდეთ „112“- ასევე სასწავლებლის ექთანს .
- 3) სამუშაოს დასრულების შემდეგ უნდა გამოირთოს დენის წყაროდან თითოეული ელექტრო მოწყობილობა (ელექტრო ტექნიკა). უნდა დაგტოვოთ ჩართული, მხოლოდ ის ელექტრო მოწყობილობები რომელიც აუცილებელია.

14. უსაფრთხოების დაცვის წესები შედულების სამუშაოებისას

- 1) შედულების სამუშაოების (სწავლება) გამოყენების შემთხვევაში მკაცრად უნდა დავიცვათ ხანძარსაწინააღმდეგო წესები.
- 2) შედულების სამუშაოების დაწყებამდე ადგილიდან უნდა მოვაცილოთ აალებადი მასალები არანაკლებ 5 მეტრის რადიუსით ხოლო ფეთქებადსაშიში მასალები და ხელსაწყოები არანაკლებ 10 მეტრისა.
- 3) სამუშაო ზონაში უნდა გაკეთდეს გამაფრთხილებელი ნიშნები და გამოიკრას ინსტრუქციები შრომის უსაფრთხოების და ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ.

15. ნავთობპროდუქტების შენახვის წესები

- 1) განთავსების ადგილი უნდა იყოს დასუფთავებული ყოველგვარი აალებადი საგნისგან და ნაგავისა და ჭუჭყისგან.
- 2) არ უნდა დაიღვაროს განთავსების ადგილზე (მიწაზე, სასწავლებლის ტერიტორიაზე) ნავთობპროდუქტი ასევე მისი გამოყენების თუ ტრანსპორტირების შემთხვევაში.
- 3) განთავსებული უნდა იყოს კოლექტიური ნიშნები საცავში.
- 4) არსებულ საცავში დაცული უნდა იყოს ელექტრო ენერგიის გამოყენების წესები



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

- 5) საცავის ტერიტორიაზე ან ნავთობპროდუქტებთან დაუშვებელია შედუღების სამუშაოები ან ელექტრო ტექნიკის გამოყენება რომელიც ნაპერწკალს წარმოქმნის.
- 6) აუცილებელია პირადი დაცვის საშუალებების გამოყენება
- 7) დაუშვებელია სიგარეტით ნავთობპროდუქტებთან მუშაობა.
- 8) მოთავსებული უნდა იყოს სპეციალურ ჭურჭელში რომელსაც თავსახური ეხურება გერმეტულად.
- 9) ნავთობით გავსილი ჭურჭლები (კანისტრები) უნდა იყოს დალაგებული სპეციალურ კარადაში ან დიდ სათავსოში სადაც კარების ჩაკეტვის საშუალება იქნება და ექნება საკეტი რათა განთავსების შემდეგ აუცილებლად უნდა დაიკეტოს.
- 10) აუცილებელია ხანძარსაწინააღმდეგო ზომების მიღება .
- 11) მკაცრად უნდა დავიცვათ ქიმიკატების უსაფრთხოების შესახებ (Materials Safety Data Sheet (MSDS)).

16. მონიტორინგი და კონტროლი

I. მენეჯმენტი ახორციელებს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მონიტორინგს და კონტროლს.

- 1) პერიოდული კონტროლი ხორციელდება ყოველდღიურად და ყოველკვარტლურად.
- 2) ყოველდღიურ კონტროლს ახორციელებს შრომის უსაფრთხოების მენეჯერი ან სასწავლებლის დირექტორი.
- 3) ყოველდღიურად მოწმდება:
 - ✓ სამუშაო ადგილების, სათავსების, საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა;
 - ✓ ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების არსებობა და სწორი გამოყენება;
 - ✓ წინასამუშაო ინსტრუქტაჟებისა ჩატარება საჭიროებისამებრ და სპეციფიკიდან გამომდინარე
 - ✓ წინა შემოწმებების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად ჩატარებული ღონისძიებებისა და მითითებების შესრულება;
 - ✓ პერსონალის მიერ შრომის უსაფრთხოების საერთო მოთხოვნების შესრულება.
 - ✓ ტექნოლოგიური მოწყობილობების, აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების, ასევე სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოება;
 - ✓ უსაფრთხოების ინსტრუქციების შესრულება.
- 4) ყოველკვარტლური შემოწმება ხორციელდება დირექტორის მიერ, ამისათვის შექმნილი კომისიის ან მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით. ყოველკვარტლური კონტროლის მიმდინარეობისას მოწმდება:
 - ✓ ყოველდღიური კონტროლის ორგანიზება და შედეგები;
 - ✓ კომპანიის დირექტორის განკარგულებებისა და უსაფრთხოების ინსტრუქციების შესრულება;
 - ✓ სასწავლებელში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების მოკვლევის კომისიის/ჯგუფის მიერ განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;
 - ✓ სასწავლებელში მოწყობილობების, ტექნოლოგიური პროცესების გამართულობა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა;
 - ✓ შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა დაცვა.
 - ✓ დამცავი, სასიგნალო, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა და მოწყობილობების არსებობა და მათი მდგომარეობა;
 - ✓ ინსტრუქტაჟის ჩატარების დროულობა;
 - ✓ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არსებობა და მომუშავეთა მიერ მათი გამოყენების სისწორე;
 - ✓ სამუშაო სივრცის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

✓ შრომის უსაფრთხოების თვალსაჩინო ნიშნები არსებობა და მათი მდგომარეობა.


- 5) ყოველკვარტლური კონტროლისას გამოვლენილი ნაკლოვანებები დაფიქსირდება შესაბამის დასკვნაში, აღნიშნული დასკვნის საფუძველზე განისაზღვრება გასატარებელი ღონისძიებები, მათი შემსრულებლები და შესრულების ვადები.
- 6) შემოწმებისას გამოვლენილი ისეთი დარღვევების/ხარვეზების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს პერსონალის ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს ავარია, მუშაობა წყდება ამ დარღვევების აღმოფხვრამდე.

II. დისციპლინური პასუხისმგებლობის პრინციპები

- 1) დასაქმებულს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობა (დისციპლინური სახდელი) შეეფარდება, თუ იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას.
- 2) ყველა დასაქმებული თანაბრად აგებს პასუხს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის.
- 3) გარემოებები, რომლებიც მხედველობაში მიიღება ერთი დასაქმებულის მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას, თანაბრად უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა სხვა დასაქმებულთან მიმართებაში.
- 4) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების პროცედურები განისაზღვრება კონკრეტულად, რომელიც თან ერთის შინაგანაწესს.

III. დარღვევის სახეები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

- 1) დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები შესაძლოა გახდეს დასაქმებულის მიერ სასწავლებელში დადგენილი წესების, შინაგანაწესის, დამსაქმებლის მიერ დადგენილი პროცედურების, შრომის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ჰიგიენის, სახანძრო უსაფრთხოების წესების, სხვა სახის სასწავლებლის შიდა ხასიათის მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნების შეუსრულებლობა და ასევე:
 - a) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა, არაჯეროვნად შესრულება ან მათდამი დაუდევარი დამოკიდებულება;
 - b) ხელმძღვანელის მითითებებისა და ინსტრუქციების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება;
 - c) სასწავლებელში დასაქმებული პირის ან სასწავლებლის დისკრიმინაციისაკენ მიმართული საქციელი;
 - d) ქმედება, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სასწავლებლის ნორმალურ ფუნქციონირებას ან/და საქმიან რეპუტაციას;
 - e) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მომხმარებლის არათავაზიანი, არაკვალიფიციური, არასრულყოფილი ან/და არაეთიკური მომსახურება;
 - f) კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება;
 - g) ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ სამსახურში გამოცხადება ან/და მათი სამსახურში მიღება;
 - h) კომპანიისთვის განზრახ ან დაუდევრობით მატერიალური/ქონებრივი ზიანის მიყენება ან არსებითი ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა;
 - i) არასაპატიო მიზეზით სამსახურში დაგვიანება ან სამსახურის თვითნებურად გაცდენა/სამსახურში გამოუცხადებლობა;
 - j) სასწავლებლის ტექნიკის, აღჭურვილობის ან სხვა ნებისმიერი ქონების უნებართვოდ გამოყენება, მითვისება ან ქურდობა;
 - k) დამსაქმებლისათვის კონკურენტული საქმიანობის წარმოება;
 - l) თამბაქოს მოწევის წესების დარღვევა;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
////////////////////

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

- m) დამსაქმებლის წერილობითი ნებართვის გარეშე სასწავლებლის მუშაობის, კლიენტების და პარტნიორებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, განმარტებების ან კომენტარების, პრესის, რადიოს ან ტელევიზიის წარმომადგენლებისათვის მიწოდება;
- n) ქრთამის ნებისმიერი ფორმით მოთხოვნა/აღება
- 2) სასწავლებელში ვალდებულების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სახის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები:
 - a) გაფრთხილება (წერილობითი ფორმით) ან გაფრთხილება და სამსახურეობრივ მოვალეობებს ჩამოშორება 3-დან 10 დღემდე ვადით (წერილობითი ფორმით);
 - b) საყვედური
 - c) სასტიკი საყვედური
 - d) სამსახურიდან დათხოვნა(წერილობითი ფორმით)
- 3) დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებს არა აქვთ დადგენილი აუცილებელი რიგითობა და მათი გამოყენება დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე. შესაბამისად, უხეში დარღვევის ჩადენის შემთხვევაში დასაქმებული შესაძლებელია პირდაპირ განთავისუფლდეს სამსახურიდან.
- 4) დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, დასაქმებულის მიმართ ტარდება სათანადო სამართლებრივი პროცედურა და პასუხისმგებლობის დასადგენად ტარდება მოკვლევა. დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით.

17. უხეში დარღვევის სახეები

- 1) დასაქმებულის სამსახურიდან დაუყოვნებლივი გათავისუფლების საფუძველი არის შემდეგი უხეში ხასიათის დარღვევები:
 - a) მუშაობა ალკოჰოლისა და ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;
 - b) უარი სიფხიზლის ტესტის ჩატარებაზე;
 - c) დამსაქმებლის ან სხვა პირის ქონების უკანონოდ მითვისება;
 - d) დამსაქმებლის ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირისათვის გადაცემა;
 - e) სასწავლებელში სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ლიცენზიის/ნებართვის დაკარგვა დასაქმებულის ბრალეულობით;
 - f) მისი მოვალეობის და პასუხისმგებლობის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოსა და მომსახურებისათვის კლიენტებისაგან, კომერციული პარტნიორებისა და მესამე მხარისაგან ქრთამის ან საჩუქრების მოთხოვნა/აღება.
 - g) თავისი ქმედებით დამსაქმებლის ან სხვა მესამე პირის სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ან/და ქონებრივი ზიანის მიყენება;
 - h) ამორალური და არაეთიკური ქცევა/ურთიერთობა, რომელიც შეურაცხყოფს სასწავლებლის/თანამშრომლების/სხვა პირების რეპუტაციას, იმიჯს და მორალურ ღირებულებებს;
 - i) სასწავლებლის ინტერესების წინააღმდეგ ქმედებებში შემჩნევა;
 - j) სისტემატური დაგვიანება კალენდარული თვის განმავლობაში
 - k) არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა;
 - l) შრომითი მოვალეობის შესრულებისას ნებისმიერი ფორმით საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი შიდა სტანდარტების/პროცედურების დარღვევა
- 2) წინამდებარე განსაზღვრული უხეში დარღვევების ჩამონთვალის მიუხედავად, თანამშრომლის დაუყოვნებლივ გათავისუფლების საფუძველი შესაძლებელია გახდეს სხვა სახის უხეში დარღვევა, რომელიც შეუძლებელს ქმნის დასაქმებულის მუშაობის გაგრძელებას, იწვევს დამსაქმებლის მნიშვნელოვან ფინანსურ, მატერიალურ ზარალს და არსებითად ლახავს სასწავლებლის ინტერესებს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

18. დასკვნითი დებულებები

I . დავის განხილვა

- 1) დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ურთიერთობის მხარეთა კანონიერ ინტერესებში.
- 2) დასაქმებულთა შრომის კონფლიქტის ან ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, დასაქმებულს შეუძლია განცხადებით/საჩივრით მიმართოს შრომითი რესურსების მართვის განყოფილებას ან უშუალო ხელმძღვანელს, რომელიც საჩივარს განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
- 3) განცხადებაში/საჩივარში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნის საფუძველიანობას და სხვა.
- 4) დავის განხილვისა და გადაწყვეტისას გამოიყენება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგენილი წესი.
- 5) საკითხები რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე შრომის შინაგანაწესით, განიხილება მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად.

II . ცვლილებებისა და დამატების შეტანა

- 1) დამსაქმებელს შეუძლია შეიტანოს ცვლილებები ან დამატებები წინამდებარე შრომის შინაგანაწესში.
- 2) შრომითი რესურსების მართვის განყოფილება ვალდებულია უზრუნველყოს შინაგანაწესში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების გაცნობის შესაძლებლობა, ხოლო თუ ცვლილება შეეხება არსებით პირობებს აღნიშნული უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის;

III . შინაგანაწესის განუყოფელი ნაწილი

- 1) შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, რომელიც კონკრეტული ქვევის წესებისა და უფლებამოვალეობების დეტალურ აღწერას წარმოადგენს და ემსახურება შინაგანაწესით დადგენილი მიზნების ეფექტურ აღსრულებას.
- 2) შინაგანაწესის დანართების დასაქმებულთათვის ინფორმირების ვადებულებები იდენტურია, როგორც შინაგანაწესის თითოეული ნორმის;
- 3) მხარეთა უფლებამოვალეობები გაწერილია შინაგანაწესის მიხედვით;

19. კონფიდენციალურობა

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

21. პერსონალის შინაგანაწესთან გაცნობის ფურცელი

| № | სახელი, გავრი | თანამდებობა | გაცნობის ვადა | გაცნობის თარიღი | ხელმოწერა |
|----|-----------------------|---|------------------|--------------------|-----------|
| 1 | დოლონაძე ბადრი | პრო-რექტორი | 17.02.2020 | | |
| 2 | ესანჯია აკაკი | მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი | 17.02.2020 | | |
| 3 | ბეჟანიძე ირაკლი | საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი | 17.02.2020 | | |
| 4 | ბერიძე რევაზ | ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ტრენაჟორების ლაბორანტი | 17.02.2020 | | |
| 5 | ბოგდანოვი ვლადიმერ | მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი | 17.02.2020 | | |
| 6 | გოგიტიძე ირაკლი | სამეურნეო განყოფილების უფროსი; შესყიდვების განყოფილების უფროსი | 17.02.2020 | | |
| 7 | დევაძე თემურ | პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი | 17.02.2020 | | |
| 8 | დიასამიძე ზურაბ | შესყიდვების მენეჯერი | 17.02.2020 | | |
| 9 | წივწივაძე ირაკლი | საფინანსო განყოფილების უფროსი | 17.02.2020 | | |
| 10 | დიასამიძე ნათია | სტუდენტებთან ურთიერთობის მენეჯერი | 17.02.2020 | | |
| 11 | დიასამიძე ომარ | პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი | 17.02.2020 | | |
| 12 | დიასამიძე ჟუჟუნა | ბიბლიოთეკის გამგე | 17.02.2020 | | |
| 13 | დუმბაძე მზია | არქივარიუსი | 17.02.2020 | | |
| 14 | ზაქარიაძე სალომე | ადამიანური რესურსების სპეციალისტი | 17.02.2020 | | |
| 15 | მამულაძე სოფიკო | მთავარი ბუღალტერი | 17.02.2020 | | |
| 16 | მენაბდე ხატია | მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი | 17.02.2020 | | |
| 17 | მიქელაძე თამარ | ექთანი; საერთო საცხოვრებელის ადმინისტრატორი | 17.02.2020 | | |



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

| | | | | | |
|----|------------------|--|------------|--|--|
| 18 | მუშაობაზე ანა | ბიბლიოთეკარი; საცურაო პრაქტიკის სპეციალისტი | 17.02.2020 | | |
| 19 | ნიქაბაძე ილია | პიარ-მენეჯერი | 17.02.2020 | | |
| 20 | ურუშაძე მალვინა | ბიბლიოთეკის უფროსი | 17.02.2020 | | |
| 21 | ულრელიძე გიორგი | გემთმექანიკური მიმართულების ხელმძღვანელი | 17.02.2020 | | |
| 22 | ფარტენაძე ლია | განათლების ხარისხის სპეციალისტი | 17.02.2020 | | |
| 23 | ქათამაძე გურამ | საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი; ზოგად საგანმანათლებლო და ზოგადტექნიკურ დისციპლინათა მიმართულების ხელმძღვანელი | 17.02.2020 | | |
| 24 | ჩხეიძე თამთა | სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმენელთა მომსახურების განყოფილების საქმისმწარმოებელი | 17.02.2020 | | |
| 25 | დიასამიძე თენგიზ | ელექტრიკოსი | 17.02.2020 | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

22. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

შრომის უსაფრთხოების შინაგანაწესი
Labor Safety Routine

ნდ N-2-010120

1.2 შინაგანაწესის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:
 შრომის უსაფრთხოების მენეჯერი ლევან საგინაძე
 იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე
 ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \

_____ \ _____ \

_____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

| № | შემთანხმებლის თანამდებობა | ხელმოწერა | შეთანხმების რიცხვი | შეთანხმების დრო | შენიშვნა |
|---|---|-----------|--------------------|-----------------|----------|
| 1 | რექტორი რუსლან დიასამიძე | | | | |
| 2 | შინაგანაწესისა და ვახტის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი დავით ჩხაიძე | | | | |
| 3 | | | | | |

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა: _____ ხელმოწერა _____ სახელი, გვარი _____ თარიღი